მომავალი წლის ზაფხული, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი ლუჟნიკში უდიდესი სპორტული დღესასწაულის — საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის თარიღი და ჩატარების ადგილია.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა ამ ასპარეზობას უკვე აქვს თავისი ემბლემა, რომელსაც ჩვენ აქ ვაქვეყნებთ.

-ისევე, როგორც წინა საკავშირო სპარტაკიადაზე, მომავალ წელსაც მას წინ წარუძღვება რესპუბლიკური სპარტაკიადები.

ამასთან დაკავშირებით, გაზეთ „ლელოს“ რედაქცია აცხადებს კონკურსს საქართველოს სპარტაკიადის საუკეთესო ემბლემის შექმნაზე.

კონკურსში გამარჯვებულისათვის დაწესებული პრემია — 300 მანეთი — მიეცემა ერთადერთ, საუკეთესოდ აღიარებულ ესკიზს. ესკიზების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 31 დეკემბერი.

კონკურსის ჟიურია საქართველოს სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грунской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 115 (1285) ○ ხუთშაბათი, 25 სექტემბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

ლვოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა ველოსპორტში, რომლის პროგრამაში იყო შეჯიბრება ქალებისათვის 25 და 50 კილომეტრზე, ვაჟებისათვის — 50 და 100 კილომეტრზე.

ქალთა შორის 25 კილომეტრზე შეჯიბრებაში ჩემპიონობა მოიპოვა ცსკ მო-ს გუნდმა თ. ნოვიკოვას, ვ. იურკინას, ზ. გენკინასა და ფროლოვას შემადგენლობით.

სურათზე: მარცხნიდან — თ. ნოვიკოვა, ვ. იურკინა, ზ. გენკინა და ვ. ფროლოვა.

ფოტო კ. ბუზინინისა.

ზინაიდა ბეგა საქმიანია,

ავჭალის, თბილისის ამ გარეუბნის ისტორიულ წარსულზე ლაპარაკს არ დავიწყებთ. იგი არც თუ ისე მდიდარია. იყო ხრიოკი მინდვრები, აქა-იქ ველური ბალახებით დაფარული ბორცვები. მხოლოდ ერთი შუშის ქარხნის მილი ბოლავდა გამთენიის ხანს. ახლა სულ სხვაა ავჭალა. მისი ტერიტორია დაიფარა დიდი საწარმოებით, მრავალი შენდება, ხოლო ბევრის აგებაა განზრახული.

აი ერთ-ერთი მათგანი — შამპანური კომბინატი. იგი დიდი ხანი არაა, რაც აღიმართა ავჭალის მინდორზე. შედიხართ საწარმოს სადარბაზო შესასვლელში და პირველი ფეხის გადადგმისთანავე გრძნობთ იდეალური წესრიგს, მზრუნველ ხელს. ასეა ყველა სამჭროში, ლაბორატორიასა თუ კაბინეტში. ერთი შეხედვით კაცს ეგონება, რომ ამ ვეებერთელა კორპუსებში, სადაც მზადდება უმაღლესი ხარისხის ქართული მარკის კონიაკი, რომლითაც მარაგდება არა მარტო ჩვენი დიადი სამშობლო, არამედ საზღვარგარეთის მრავალი ქვეყანა, 2000-ზე მეტი კაცი მუშაობს. მაგრამ არა. თბილისის შამპანური კომბინატის კოლექტივი სულ 180 კაცისაგან შედგება.

ერთი თვალის გადავლებით გავეცანით კომბინატის მუშაობას და საამჭროდან საამჭროში ექსკურსიის შემდეგ მივადექით იმ „საამჭროს“, რომელიც ჩვენ ყველაზე უფრო გვაინტერესებდა. ჩვენს წინ გადაიშალა რკინის ბადით შემოღობილი კოშკი, სპორტული ბაზა. აქ არის კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტი. ყოველი მათგანი მზადყოფნაში დგვიხვდა — შეიძლებოდა იმ წამსვე დაგვეწყო ვარჯიში ან შეჯიბრება.

— დავიწყოთ აქედან, — მივმართეთ კომბინატის დირექტორს თ. ფურცელაძეს, სპორტის ვეტერანს, კრივის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარეს.

— დავიწყოთ. — გვითხრა დირექტორმა. ბაზის კარები გაიღო და მოედნის ირგვლივ განლაგებულ სკამებზე მოვთავსდით, — ჩვენი კომბინატის მშენებლობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ამის მიუხედავად გამოვძებნეთ ფართობი მოედნების ასაგებად. არც ფული დავიშურეთ და არც ენერგია. რამდენიმე კვირაობის მოწყობით პირველადი სამუშაოები მოვრჩით და საქმე ხელოსნებს ჩავაბარეთ. ახლა, როგორც ხედავთ, ბაზა გვაქვს.

მაგრამ ბაზა თავისთავად არაფერს მოგვცემს თუ ჩვენ თვითონ არ ვივარგეთ, თუ ჩვენ თვითონ არ გამოვიყენეთ იგი. მართალია, ვვარჯიშობთ, ერთმანეთს ვეჯიბრებით კიდეც, მაგრამ ეს ხომ ყველაფერი არაა. „განთიადის“ რესპუბლიკურ საბჭოს ვთხოვეთ, რომ რომელიმე მცირე მასშტაბის შეჯიბრება ჩვენს ბაზებზე ჩაეტარებია. ეს ერთი მხრივ ჩვენი კოლექტივის საქმიანობას გამოაცოცხლებდა, მეორეს მხრივ მიიზიდავდა ახლო-მახლო საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებს, დაიინტერესებდა მათ ფიზკულტურითა და სპორტით. მაგრამ იქიდან ვერაფერი დახმარება ვერ მივიღეთ. დასანანი კია, ვეებერთელა ტერიტორია, სადაც 40.000 მშრომელი ცხოვრობს, „განთიადმა“ უყურადღებოდ დატოვა.

მაგრამ ამ საქმეს მოვაგვარებთ, თუ „განთიადი“ ჯერჯერობით ჩვენით არ დაინტერესდა, შევეცდებით ამას მივაღწიოთ. მთავარი სხვაა. შეხედეთ სპორტული ბაზის მომიჯნავე ტერიტორიას. იგი კომბინატს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენ თანხმა ვართ საერთო გავხადოთ. აი როგორ: ამ ტერიტორიაზე განზრახული გვაქვს ავაგოთ სპორტული დარბაზი, სადაც შესაძლებელი იქნება ზამთრობით ტანვარჯიშში, კალათბურთსა და ფრენბურთში როგორც ვარჯიში, ისე შეჯიბრებების მოწყობა. დარბაზის უკან, სიგანეზე უნდა აიგოს დახურული საცურაო აუზი. თბილი წყალი ბევრი გვაქვს — ორთქლის დანადგარებიდან პირდაპირ შეგვიძლია მილით შევუერთოთ. როდესაც ეს ორი დიდი ობიექტი დამთავრდება, მაშინ ჩვენი სპორტული ბაზის გარე ღობეს მოვხსნით და მივიღებთ კეთილმოწყობილ სპორტულ კომბინატს როგორც დახურული, ისე ღია მოედნებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი მეზობელი საწარმო შამპანური კომბინატი აშენებს არც თუ ისე პატარა სტადიონს, ნათელი გახდება, რომ ავჭალის საწარმოთა მშრომელები დაკმაყოფილებული იქნებიან სპორტული ბაზებით.

— კი მაგრამ თქვენი კომბინატი შეძლებს ამდენი სახსრების გაღებას? — შევეკითხეთ ჩვენ.

— რასაკვირველია, არა, — განაცხადა მან. — მე პირადად ასე ვფიქრობ: ეს კომბინატი უნდა აიგოს საერთო ძალით. აქ ახლო-მახლოს არის მრავალი საწარმო. შამპანური კომბინატი, ჩაის გადამწონი ფაბრიკა, ლოკომოტივმშენებელი ქარხანა, შუშის ქარხანა და სხვ. საჭიროა ყველა მათგანმა გაიღოს თანხა (ყველა საწარმოს მეტ-ნაკლებად ამის შესაძლებლობა აქვს). ჩვენი კომბინატი ნახევარ მილიონსა დებს. თუ საქმეს სიყვარულით მოვეკიდებით, ეს სულ ერთ წელიწადში შეიძლება მოგვარდეს. ჩვენ გავაკეთებთ საშვილიშვილო საქმეს, რომელიც ხელს შეუწყობს მშრომელთა ფიზიკურად გაკაჟებას. ამ წინადადების შესახებაც ვაცნობეთ „განთიადის“ რესპუბლიკურ საბჭოს და ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტსაც, მაგრამ სამწუხაროდ, არავითარი პასუხი დღემდე არ მიგვიღია. სხვათა შორის საწარმოებთან სპორტული ბაზების ქსელის შექმნის შესახებ არის პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოსა და სახალხო-მეურნეობის საბჭოს გაერთიანებული დადგენილება (1958 წ. № 67). მე მგონია წინადადება არ უნდა იყოს უსარგებლო. ჰა, რას იტყვით?

ჩვენ გონების თვალით გადავხედეთ თ. ფურცელაძის წინადადების არსს და მეტად სასარგებლო საქმე დავინახეთ. მართლაც, ხომ შეიძლება რამდენიმე მეზობლად მდებარე საწარმო გაერთიანდეს, გაერთიანონ სახსრები და აიგოს ერთი საწარმოთაშორისო სპორტული კომბინატი? ჩვენ გვგონია ეს მარტო ავჭალაში კი არ უნდა მოხდეს, არამედ ყველგან, სადაც კი ამის ოდნავი შესაძლებლობა არის. განა 26 კომისრის რაიონში არ შეიძლება გაერთიანებული სპორტული ბაზის მოწყობა. ასეთივე შესაძლებლობა აქვს ქუთაისს, რუსთავს, ბათუმს და თქვენ წარმოიდგინეთ, მეშახტეთა ქალაქებსაც. მაშ რატომ არ უნდა დავუჭიროთ მხარი შამპანკომბინატის კოლექტივის წინადადებას?

ჩვენ გვგონია, რომ ჩაის გადამწონი ფაბრიკის, ლოკომოტივმშენებელი და შუშის ქარხნების დირექციებს არაფერი ექნებათ საწინააღმდეგო. ისინიც ხომ თავიანთი კოლექტივების წევრების კეთილდღეობაზე ზრუნავენ. მაშ შევუდგეთ საქმეს მეგობრებო, კეთილმოწყობილი ბაზები ჩვენ ახლა ძალზე გვჭირია. წინ ხომ საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაა და მისი პირველი ეტაპი ხომ თქვენთან — ძირეულ კოლექტივებში უნდა ჩატარდეს?

საბჭოთა მშრომელების კეთილდღეობის საქმე მოითხოვს, რომ ერთი ორად, ერთი სამად გავზარდოთ ბაზების ქსელი, კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობა. ამიტომ ფართო გზა მივცეთ ყოველივე ახალს, ყური დავუგდოთ, გულისხმიერად მოვეპყრათ სპორტის ენთუზიასტთა წინადადებას, ისინი გაამდიდრებენ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას.

ა. გორდელი

დავუჭიროთ მხარი მას!

ექვსი უძლიერესი

ვინ იყო ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე საუკეთესო მოთამაშე? შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ არის ძნელი იმისათვის, ვინც დაესწრო ჩემპიონატის მატჩებს თავიდან ბოლომდე. მაგრამ ერთი ადამიანის აზრი ასეთ შემთხვევაში არ არის კომპეტენტური, რადგან იგი უმეტეს შემთხვევაში სუბიექტურია, ხოლო როდესაც უძლიერესთა დადგენაში მონაწილეობას იღებს ათობით სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტი — აზრი ყოველთვის საბოლოო და ობიექტურ ფორმებს იღებს.

ჩემპიონატის უძლიერეს ფრენბურთელთა დადგენაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, პოლონეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის სპეციალისტებმა და მაინც სპეციალისტები საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ. ნაცვლად იმისა, რომ მათ ექვსი უძლიერესი გუნდიდან წამოეყენებინათ თითო კანდიდატურა და ამრიგად შეედგინათ ევროპის პოტენციური ნაკრები, სპეციალისტებმა დაასახელეს 17 სპორტსმენი. უძლიერესდა შერჩევა მოხდა ხმების უმეტესი რაოდენობით და ამგვარად, დადგინდა ევროპის საუკეთესო მოთამაშეთა ექვსეული. მასში შევიდნენ: გოლიანი (ჩეხოსლოვაკია), რუტკოვსკი (პოლონეთი), ფასახოვი (სსრკ), სიმოვი (ბულგარეთი), რომანი (რუმინეთი) და ტატარი (უნგრეთი).

ნაკრების კანდიდატები

კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით შედგენილ იქნა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი, რომელშიც შევიდნენ: ნ. მაქსიმელიანოვა, ნ. მაქსიმოვა, ნ. ერიომინა (მოსკოვის „დინამო“), ე. კიტსინგი, ა. ვიარკი, მ. ოტსა (ტარტუს „კალევი“), ხ. ბიტნერე (რიგის „დაუგავა“), გ. იაროშევსკაია, ნ. არციშევსკაია (მოსკოვის ელექტრონათურების ქარხანა), ვ. კოსტიკოვა (მოსკოვის „ბურევესტნიკი“), ნ. პოზნანსკაია (ლენინგრადის სკკ), რ. კუზნეცოვა (მოსკოვის „სერპ ი მოლოტი“), ი. დოკტორაიტე, გ. ტულევიჩუტე (კაუნასის „ჟალგირისი“), ლ. ვეკშინა (როსტოვის „ბურევესტნიკი“).

მიუნჰენის საჭადრაკო ოლიმპიადა

როგორც ცნობილია, პირველ ოქტომბერს მიუნჰენში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება საჭადრაკო ოლიმპიადა. საბჭოთა კავშირის ნაკრები ოლიმპიადაზე გამოვა ასეთი შემადგენლობით: მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, პ. კერესი, დ. ბრონშტეინი, მ. ტალი და ტ. პეტროსიანი. საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანია ა. კოტოვი.

მიმდინარე წლის ოლიმპიადა მნიშვნელოვანი მოვლენაა საჭადრაკო ცხოვრებაში. მასში მონაწილეობის სურვილი ჯერჯერობით 38-მა ქვეყანამ გამოთქვა. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუნჰენში თავს მოიყრის მსოფლიოს 200-მდე წამყვანი მოჭადრაკე, ძლიერი გუნდებით იქნებიან წარმოდგენილი ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, არგენტინა, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი.

ამერიკული პრესის ცნობით შეერთებული შტატების ნაკრებში გამოვა 6 გროსმაისტერი ს. რეშევსკის მეთაურობით.

ალპინიადა მიეძღვნა კომკავშირის მე-40 წლ...

ნ. გაფრინდაშვილი, ვ. ტიხომიროვა და ა. ჩაიკოვსკაია ითამაშებენ ფი...

11 ოქტომბერ...ან—10 საბჭოთა სპორტსმენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

★ ★ ★

მწვერვალს უწოდეს გმირის სახელი

„კოლმეურნეს“ მესტიის რაისაბჭოს სპორტლონისძიებათა კალენდარში გათვალისწინებული ჰქონდა კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი ალპინიადის მოწყობა. ალპინიადის საერთო ხელმძღვანელად დაინიშნა სპორტის ოსტატი ი. გაბლიანი. დაზუსტდა და დამტკიცდა ალპინიადაში მონაწილე მსურველთა სიები და 12 სექტემბრისათვის ყველაფერი მზად იყო. ლაშქრობის გეგმაში, სხვათაშორის, შედიოდა ერთი უსახელო მწვერვალის დაპყრობა, რომლისთვისაც უნდა მიეკუთვნებინათ ჩვენი თანამემამულის, სამამულო ომის გმირის ზოია რუხაძის სახელი.

ალპინიადის მონაწილეები ათეულებად გაანაწილეს, რომელთა ხელმძღვანელობა დაეკისრა ბ. ხერგიანს, ჯ. ჩართოლანს და პირველთანრიგოსან ა. ჯაფარიძეს. დღის 10 საათზე მასობრივი ალპინიადის რაზმი მესტიის ტურისტული ბაზიდან გაემგზავრა და იმავე საღამოს, ბანაკი დასცა, ლახზრის ხეობაში.

თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების შემდეგ, 14 სექტემბერს ბანაკი წამოიშალა. ჯგუფები საიერიშო ობიექტების მიხედვით დაიყვნენ და გზას გაუდგნენ თავთავიანთი მარშრუტებით.

უსახელო მწვერვალს უტევდა მ. გვარლიანის ჯგუფი. მან გეზი აიღო ჩრდილო-აღმოსავლეთით, დალაყორასაკენ. იმავე დღეს ჯგუფმა მიაღწია მწვერვალის ძირს და დაბანაკდა.

15 სექტემბერს დაიწყო იერიში მწვერვალზე სამხრეთ აღმოსავლეთის მხრიდან. ჯგუფმა იგი დაიპყრო დღის 1 საათზე. მწვერვალზე მთამსვლელებმა აღმოაჩინეს ნიში, რომელშიც იყო დ. ობოლაძის ჯგუფის მიერ 1954 წელს დატოვებული ბარათი. დატოვებულ იქნა შემცვლელი ბარათი: „მწვერვალს, რომლის სიმაღლე უდრის 3.700 მეტრს ეწოდოს საბჭოთა პატრიოტის, გმირულად დაღუპული კომკავშირელის, საბჭოთა კავშირის გმირის ზოია რუხაძის სახელი — მისი სახელის უკვდავსაყოფად“. შემდეგ ჯგუფი მწვერვალიდან დაეშვა ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ჭალადის ყინვარზე, გადმოლახა იგი და ღამის სათევად დაბანაკდა.

მეორე ჯგუფმა 39 მონაწილის შემადგენლობით განაგრძო გზა მწვერვალ ბანგურიანისაკენ. იმავე დღეს მთამსვლელებმა მიაღწიეს მწვერვალის ძირამდე. მომდევნო დღეს ამინდი არ იძლეოდა წინსვლის საშუალებას. შემდეგ გამოიდარა და დაიწყო იერიშიც. 6 საათის ბრძოლის შემდეგ ალპინიადის მონაწილენი მწვერვალს თავს მოეკუნენ. აქ აღმოჩნდა მ. გვარლიანის ჯგუფის მიერ 1958 წელს დატოვებული ბარათი. შემცვლელი ბარათი ასეთი შინაარსისა იყო: „ჩვენი სახელოვანი კომკავშირის არსებობის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი ალპინიადა“.

შემდეგ მონაწილეებმა იწყეს ქვემოთ დაშვება და 16 სექტემბერს მშვიდობით დაბრუნდნენ მესტიის ტურისტთა ბაზაში, სადაც მათ დახვდათ მ. გვარლიანის ჯგუფი.

ვ. რატიანი

მეგობრული სპარტა...

ლაიპციგში დაიწყო მეგობრული არმიების სპორტსმენთა პირველი სპარტაკიადა. სპარტაკიადის პროგრამაში შედის 12 სახეობა და ყოველ მათგანში თამაშდება გუნდური პირველი ადგილი. მთავარი პრიზი — დიდი თასი, რომელიც დააწესა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტრომ, გადაეცემა გუნდს, რომელიც აჩვენებს საუკეთესო შედეგს სამხედრო სამჭიდში და სპორტის სხვა ხუთ ამორჩევით სახეობაში. გუნდური პრიზების გარდა გამარჯვებულებს გადაეცემათ ოქროს მედლები — მათი რაოდენობა 262-ია. ამდენივე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდებიან მეორე-მესამე ადგილზე გამოსული სპორტსმენები.

დაიწყო შეჯიბრება სამხედრო სამჭიდში, რომელიც 4 დღეს გასტანს. ჯერჯერობით გამარჯვების კარგი შანსები აქვთ ჩინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა შეჯიბრება არმიული შაშხანიდან და პისტოლეტიდან სროლაში. გუნდურ და პირადი გამარჯვებისათვის აქ 130 მსროლელი იბრძოლ...

1:0, ხოლო მეორე ნაკრებთა მატჩში — ავსტრიელებმა — 5:3.

გზრ — რუმინეთი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების შეხვედრებში უპირატესობა გერმანელთა მხარეს იყო. პირველმა ნაკრებმა მოუგო რუმინეთის გუნდს — 3:2, მეორე ნაკ... ებმა — 1:0, ... ალგაზრდულმა ... 1:0 და ... გუნ-დური პირველობაც ... სახეობაში საბჭოთა სპორტსმენებს დარჩათ (ი. მეიტინი, ვ. გორლინსკი, მ. იტკისი, ა. ბოგდანოვი, ვ. შპონგოლცი), მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა.

პისტოლეტიდან სროლაში გამარჯვება მოიპოვა ჩეხოსლოვაკიის არმიის წარმომადგენელმა ა. კრიტსმა. მეორე ადგილი წილად ხვდა საბჭოთა სპორტსმენს ა. იასინსკის. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა მსროლელების კოლექტივი აქაც პირველი იყო. სპარტაკიადის პირველ დღეს გათამაშებულ 11 ოქროს მედლიდან 10 საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს.

დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის არმიელთა გუნდების შეხვედრამ ფეხბურთში. გამარჯვება ანგარიშით 2:1 მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა დაამარცხეს ჩეხები—2:0.

ნახევარფინალეგი

ბათუმი. ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან. გათამაშების ფინიშზე თანდათან გამწვავდა ბრძოლა. XII ტურში კვლავ ყურადღების ცენტრშია ლიდერების პარტიები. გაფრინდაშვილმა სომხეთის ჩემპიონ ლიაპუნოვასთან შავებით გაითამაშა ინგლისური დაცვა, წამოიწყო რთული კომბინაცია, იერიში მიიტანა თეთრების მეფეზე და აიძულა იგი დანებებოდა. ტიხომიროვამ, რომელიც თეთრებით ეთამაშებოდა ვილნიუსელ კარტანაიტეს შეძლო ხარისხის მოგება, რაც საკმარისი აღმოჩნდა კიდევ ერთი ქულის მოსაპოვებლად. ენდშპილში მახვილგონიერი თამაშით მორიგი გამარჯვება მოიპოვა ბათუმელმა ჩაიკოვსკაიამ კაუშილაიტესთან.

ამ ტურში კიდევ სამი პარტია დამთავრდა. სტრანდსტრემშა მოუგო ვენდროვას, ვოიცეკმა დაამარცხა ლაუბერტე, ხოლო შადურამ — ლებედევა.

მოუგო რა ვიტკოვსკაიას სტრანდსტრემმა, კიდევ ერთი ქულა მოიპოვა VI ტურის გადადებული პარტიის დამთავრებისას. მაგრამ კაუშილაიტესთან ვერ მონახა სწორი გაგრძელება IX ტურის გადადებულ პარტიაში და დამარცხდა.

უკანასკნელი ტურის წინ გაფრინდაშვილს (9,5 ქულა), ტიხომიროვასა და ჩაიკოვსკაიას (8-8 ქულა და თითო გადადებული პარტია) უკვე განაღდებული აქვთ ფინალში მონაწილეობის უფლება.

თ. გიორგაძე

* * *

როსტოვსა და ბაქოში დასასრულს უახლოვდება საკავშირო პირველობის ნახევარფინალური შეხვედრები ჭადრაკში. როსტოვში უკვე გათამაშებული 12 ტურის შემდეგ წინ არის კროგიუსი, რომელსაც 8 ქულა და ერთი წასაგებ მდგომარეობაში გადადებული პარტია აქვს, ნეუმეტდინოვს აქვს 7 ქულა და ორი გადადებული, ხოლო სპასკის — 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

საქართველოს ჩემპიონმა ბ. გურგენიძემ მეთერთმეტე ტურში მაკაროვთან მოგებულ პოზიციაში ციტნოტში დაუშვა შეცდომა და დამარცხდა. მეთორმეტე ტურში შეხვდა სვერდლოვსკელ ბორისენკოს, რომელიც შავებით თამაშობდა. გურგენიძემ შუა თამაშში მოიპოვა პოზიციური უპირატესობა და პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა. ახლა მას 5 ქულა აქვს.

ბაქოში გათამაშებული 12 ტურის შემდეგ ლიდერია ლენინგრადელი გროსმაისტერი ტაიმანოვი (8,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია). არონინს აქვს 7,5 ქულა, იუხტმანსა და ესტრინს — 7-7 ქულა თვითეულს (თითო გადადებული პარტია).

ფინალში გასვლის შანსებს ინარჩუნებენ აგრეთვე პოლუგაევსკი — 6,5 ქულა, ანტოშინი და აბაკაროვი — 6-6 ქულა.

ორი ახალი ოსტატი

წყალში მხტომელთა რესპუბლიკური შეჯიბრების მეორე და მესამე დღის პროგრამაში იყო ნახევარფინალური და ფინალური ხტომები ტრამპლინიდან, 5 და 10-მეტრიანი კოშკიდან. წვიმიანი ამინდის მიუხედავად წარმატებით შეასრულა ნებისმიერი ხტომები სამმეტრიანი ტრამპლინიდან სპორტის ოსტატმა ტ. ინწკირველმა. მან მოიგო პირველი ადგილი და აჩვენა სეზონში მისთვის საუკეთესო შედეგი — 119,64 ქულა. მეორე ადგილზე აღმოჩნდა ე. ნესტერენკო— 90,05 ქულა.

ვაჟთა შორის ხტომის ამ სახეობაში პირველობისათვის იბრძოდა მხოლოდ ორი თბილისელი ა. ხარჩიკიანი და ლ. უტეშევი. ხარჩიკიანმა კარგად შეასრულა რთული ნებისმიერი ხტომები და საკმაოდ მაღალი შედეგით (150,38 ქულა) დაიკავა პირველი ადგილი. ხარჩიკიანმა წელს პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. ახალგაზრდა ნიჭიერი მხტომელის ლ. უტეშევის შედეგია — 147,35 ქულა.

ქალთა შორის კოშკიდან ხტომაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა საქართველოს ჩემპიონმა მ. ეროგინამ, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მისი შედეგი არ იყო მაინცდამაინც დამაკმაყოფილებელი — 69,77. საინტერესო სპორტული ბრძოლა გაიმართა ათმეტრიან კოშკიდან ხტომაში ვაჟთა შორის. შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა სპორტის ოსტატი მ. იუზბაშევი, რომელსაც 8 ხტომის შემდეგ 118,97 ქულა ჰქონდა. საქართველოს ჩემპიონს ს. კამოევს — 117,13 და ახალგაზრდა ბათუმელ სპორტსმენს გ. ღონღაძეს—111,62. მეცხრე ხტომის შემდეგ ბათუმელი ფაქტიურად გამოაკლდა პირველობისათვის ბრძოლას. მართალია, მან ოსტატურად შეასრულა ხტომა, მაგრამ შეფასების დროს მიიღო მხოლოდ 13,60 ქულა, რადგან სირთულის კოეფიციენტი მის ხტომას დაბალი ჰქონდა. მეცხრე ნახტომისათვის კამოევმა მიიღო 18,75 ქულა, ხოლო იუზბაშევმა—17,60. უკანასკნელ მეათე ხტომაში ლიდერმა (იუზბაშევმა) მიიღო დაბალი შეფასება — 11,27. კამოევს იმისათვის, რომ მოეგო პირველი ადგილი, უნდა ეჩვენებინა 13,22 ქულა, მაგრამ გამარჯვების გარდა მას მეორე საზრუნავიც ჰქონდა. იგი ახლო იყო სპორტის ოსტატის ნორმასთან. უკანასკნელ გადამწყვეტ ნახტომში კამოევი იღებს მაღალ შეფასებას — 20,37 ქულას, იგებს პირველ ადგილს და ასრულებს სპორტის ოსტატის ნორმატივს. იუზბაშევი გამოდის მეორე ადგილზე, ხოლო ღონღაძე — მესამეზე.

გუნდურ ჩათვლაში კვლავინდებურად ლიდერობს თბილისის პირველი კოლექტივი.

ვ. ინწკირველი

სჯუმრაულ ალავერდში

ალავერდის (სომხეთის სსრ) სპილენძსადნობი ქარხნის ფიზკულტურელთა მიწვევით ამ დღეებში ალავერდს გაემგზავრა ზესტაფონ... ფერო-შენადნობთა ქარხნის ფეხბურთელთა გუნდი. მატჩი ამ ორი კოლექტივის გუნდებს შორის დამთავრდა ზესტაფონელთა გამარჯვებით — 5:3.

ს. ტალახაძე

სურათზე: ბაქოელ ს. ჰალილბეილისა და თბილისელ მ. შიშოვის თამაშის მომენტი.

ᲛᲔ-2 ᲒᲒ. № 115 (1285)

ს ურ ა თ ზ ე: საქართველოს 1958 წლის ჩემპიონები კრივში მარცხნიდან — ზედა რიგში: ჟ. კვიცარიძე, ნ. ქიქავა, ჯ. კვანტალიანი, ზ. მაჭავარიანი და ვ. ფინანსოვი. ქვევით — ს. ზებულაშვილი, ჯ. გოგისვანიძე, რ. აკოპოვი, დ. ჩოგოვაძე და ი. ცვეტკოვი.

ფეხბურთი. პოლიგონებზე

გათამაშების ცხრილი

IV ზონა

მდგომარეობა 25 სექტემბრისათვის	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ერევანი)	25	14	8	3	40:10	36
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	26	14	8	4	53:27	36
სკვო (როსტოვი)	25	15	5	5	64:22	35
„უუბანი“ (კრასნოდარი)	25	15	5	5	50:27	35
„ლოკომოტივი“ (ქუთაისი)	26	14	5	7	56:33	33
სკვო (თბილისი)	24	13	4	7	41:30	30
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	24	11	6	7	40:33	28
„თერგი“ (გროზნო)	26	12	4	10	39:45	28
„შახტიორი“ (კადიევკა)	26	8	8	10	33:36	24
„ლოკომოტივი“ (სტალინო)	26	10	4	12	44:51	24
„სპარტაკი“ (სტავროპ.)	26	5	11	10	27:46	21
„მეტალურგი“ (სტალინგრ.)	26	8	4	14	21:46	20
„შირაქი“ (ლენინაკანი)	26	8	3	15	22:34	19
„შახტიორი“ (შახტი)	26	6	6	14	23:41	18
„ტემპი“ (მახაჩკალა)	26	5	3	18	20:47	13
„ტრუდი“ (ასტრახანი)	25	3	2	20	20:65	8

* * *

გუშინ ბაქოში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ნეფტიანიკი“ და ერევნის „სპარტაკი“. მატჩი მოიგეს ბაქოელებმა ანგარიშით 1:0.

თამაში გამოცოცხლდა ბურთის გაჯანის შემდეგ

✦

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 23 სექტემბერი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „შირაქი“ (ლენინაკანი)—3:0. (0:0).

„შირაქი“ — ისრაელიანი; სემერჯიანი, პოპოიანი, აბრამიანი; მოვსესიანი, ასლანიანი; ხაჩიკიანი, გნუნი, კეროპიანი, პოღოსიანი, სუპრიკიანი.

„ბურევესტნიკი“ — მარღანია; გაგუა, კუპავა, სიბინავა, მუმლაძე, გოგიჩაიშვილი; იაშვილი, ჩიჩუა, ურთქმელიძე, ზეინკლიშვილი, თირქია (ცერცვაძე).

მსაჯი ა. მენშიკოვი (მოსკოვი).

✦

მასპინძლებმა მოდუნებულად, ნელ ტემპში, ყოველგვარი სისტემის გარეშე დაიწყეს თამაში, არაზუსტად აწვდიდნენ ერთმანეთს ბურთს, ან დიდხანს აჩერებდნენ მას. ლენინაკანელები ენერგიულად მოქმედებდნენ მთელ მინდოზე. ხშირად იცვლიდნენ ადგილებს და რიცხობრივი უმრავლესობის შექმნით ცდილობდნენ გადამწყვეტი უპირატესობის მოპოებას. მათ რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს თბილისელთა კართან, ხოლო 27-ე წუთზე მარცხენა შუამარბ ხაჩიკიანის ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, თბილისელთა მეკარეს დაასწრო სუპრეკიანმა, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლო.

ს ურ ა თ ზ ე: თბილისელთა მეკარე კ. მარღანია იღებს ბურთს.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

„ბურევესტნიკის“ ფეხბურთელებმა კარის აღების რეალური შესაძლებლობა დაკარგეს მე-14 წუთზე, როცა ზეინკლიშვილის მიერ კარგად ჩაწოდებული ბურთი ვერ გამოიყენა ურთქმელიძემ.

უინტერესოდ მიმდინარეობდა მეორე ნახევარიც, შემდეგ მარცხენა ფრთაზე გადანაცვლებული ზეინკლიშვილი კარგად გავიდა პირით ხაზამდე. აქ მას სემერჯიანი უხეშად მოექცა და სტუმრები სამართლიანად დაჯარიმდნენ. დაზარალებულმა „შირაქის“ საჯარიმო მოედანზე „დაჰკიდა“ ბურთი, მცველებს დაასწრო ურთქმელიძემ და თავური დარტყმით ბურთი ბადისაკენ გაგზავნა, კარის ხაზს გადაცილებულ ბურთს ყოველშემთხვევისათვის დაუმატა იაშვილმა — 1:0. ეს იყო მატჩის 55-ე წუთზე.

გატანილმა გოლმა საგრძნობლად გარდაქმნა თამაში. გაიზარდა ტემპი, გახშირდა თბილისელთა შეტევები და უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ იაშვილ-ურთქმელიძე-ჩიჩუას კომბინაცია კინაღამ გოლით დაგვირგვინდა. მეორე გოლი ჩიჩუამ გაიტანა 70-ე წუთზე — ზეინკლიშვილმა, რომელმაც კარგად ჩაატარა მატჩი, გამოიტანა ბურთი საკუთარ საჯარიმო მოედნიდან და უყურადღებოდ დარჩენილ ცერცვაძეს (მეორე ტაიმში შეცვალა თირქია) მიაწოდა, რომელმაც შეუჩერებლად გაგზავნა კარის გასწვრივ და ჩიჩუამ დაამთავრა კომბინაცია. „ბურევესტნიკის“ ერთ-ერთი მორიგი შეტევის დროს სტუმრების ცენტრალურმა მცველმა პოპოიანმა ხელით ითამაშა საკუთარ საჯარიმო მოედანზე. 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენა ჩიჩუამ და ანგარიში გახდა 3:0. თბილისის „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ.

ბათუმის „დინამო“ მეოთხედფინალში

ბ ა ქ ო. ტელეფონით ჩვენი საკორესპონდ. საქართველოს თასის მფლობელი ბათუმის „დინამო“ საბჭოთა კავშირის თასის (ძირეულ კოლექტივებს შორის) მერვედფინალში შეხვდა აზერბაიჯანის თასის მფლობელს ბაქოს სკვო-ს. მატჩმა, რომელიც ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა, მრავალრიცხოვანი მაყურებელი მიიზიდა.

მატჩის დაწყებიდან ერთი წუთიც არ იყო გასული, როცა მასპინძლებს თამაშის განახლება მოუხდათ ცენტრიდან. სტუმრების კომბინაცია შესანიშნავი დარტყმითა და კარის აღებით დაამთავრა მენაბდემ. მასპინძლებმა აშკარად ვერ გაუძლეს ბათუმელთა ტემპს და მე-5 წუთზე მეორე გოლი გაუშვეს. ბურთი გაიტანა ქობილავამ, 10 წუთის შემდეგ მენაბდის კომბინაცია გააგრძელა ქობილავამ, მურვანიძემ დაამთავრა და ანგარიში გახდა 3:0 ბათუმელთა სასარგებლოდ. პირველი ნახევრის უკანასკნელ წუთზე ქობილავამ მეოთხე ბურთი გაგზავნა მასპინძელთა კარში.

დინამოელთა ახალი შეტევით აღინიშნა მეორე ნახევარი და რამდენიმე წუთის შემდეგ 11-მეტრიანი საჯარიმო დაინიშნა ბაქოელთა კარში—5:0. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს მასპინძლებმა ერთი საპასუხო გოლის გატანა. დარჩენილ დროში მენაბდემ მეექვსედ შეარხია ბაქოელთა კარის ბადე და ანგარიშით 6:1 გაიმარჯვა ბათუმის „დინამომ“.

მეოთხედფინალში დინამოელები საკუთარ მოედანზე მიიღებენ ლენინგრადისა და ყირგიზეთის გუნდებს შორის გამარჯვებულს. მატჩის მოგების შემთხვევაში აქვე გამართავენ ნახევარფინალურ შეხვედრას, ამ მატჩის მოგების შემთხვევაში გაემგზავრებიან მოსკოვში ფინალში სათამაშოდ.

ჩემპიონაჯების ფინიშზე

დამთავრდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ზონალური შეჯიბრებები ფეხბურთში. 30 გუნდი დაყოფილი იყო ოთხ ზონად. სადაც ორი წაგების შემთხვევაში გუნდი ჰკარგავდა შეჯიბრების გაგრძელების უფლებას. პირველ ზონაში გაიმარჯვეს ადიგენის, მეორეში — ბოლნისის, მესამეში — წულუკიძის, მეოთხეში — ხობის რაიონის კოლმეურნე ფეხბურთელებმა.

ადიგენი-ბოლნისისა და წულუკიძე-ხობის გუნდების მატჩში გამარჯვებულები აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მახარაძის, ლანჩხუთის, ზუგდიდის რაიონების სოფლის ფეხბურთელებთან ერთად 2 ოქტომბრიდან გაითამაშებენ დასკვნით ეტაპს ერთ წრედ.

* * *

28 სექტემბერს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში იწყება საქართველოს პირველობის ფინალური შეხვედრები ფეხბურთში. პირველ და მეორე ზონებში I-V ადგილზე გამოსული გუნდები ითამაშებენ I-X ადგილებისათვის, ხოლო დანარჩენები — მომდევნო ადგილებისათვის.

პირველ დღეს I-X ადგილებისათვის ითამაშებენ: „კოლმეურნე“ (მახარაძე)-„კოლმეურნე“ (ლანჩხუთი), „დინამო“ (ქუთაისი)-„მეტალურგი“ (რუსთავი), „დინამო“ (სოხუმი) - „დინამო“ (ბათუმი), „ტორპედო“ (ქუთაისი)-ფიზკულტურის ინსტიტუტი, ტტს-ი (თბილისი)-„მაღაროელი“ (ჭიათურა).

ამ დღეს მომდევნო ადგილებისათვის ერთმანეთს შეხვდებიან: ფოთის გუნდი-„სპარტაკი“ (სტალინირი), 26 კომ. სახ. რაიონი-„ოდიში“ (ზუგდიდი), „დინამო“ I (თბილისი)-„სხივი“ (რუსთავი), „კოლმეურნე“ (ქობულეთი)-„განთიადი“ (გორი), „სპარტაკი“ (თელავი)-„ლოკომოტივი“ (სამტრედია).

დედაქალაქის უძლიერესის სახელისათვის

„განთიადის“ სპორტულ მოედნებზე გრძელდება თბილისის პირველობა ფრენბურთში ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. შეჯიბრების მეორე დღეს ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების ქალთა და სასოფლო-სამეურნეო და ფიზკულტურის I ინსტიტუტების ვაჟთა გუნდების შეხვედრებმა, რომლებშიც ირკვეოდა ლიდერობის ბედი.

პირველ პარტიაში პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელებმა ძლიერად ჩაატარეს თამაში და მოიგეს — 15:7. მომავალ ინჟინერთა უპირატესობით წარიმართა მეორე პარტიაც, რომელიც დამთავრდა ანგარიშით — 15:11. თითქოს ყველაფერი გარკვეულია. მაგრამ ხდება სრულიად მოულოდნელი რამ. ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები თითქოს შეცვალესო, მათ დიდი აღმავლობით ჩაატარეს მომდევნო ორი პარტია და შესაბამისად გაიმარჯვეს მათში — 15:6 და 15:8. მორიგი მოულოდნელობის მოწმენი გახდნენ მაყურებლები ამ გუნდების შეხვედრის მეხუთე, გადამწყვეტ პარტიაში. მოლოდინი მძაფრი და საინტერესო ბრძოლისა, არ გამართლდა, ვინაიდან ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა თითქმის უბრძოლველად ჩააბარა მოწინააღმდეგეს გამარჯვება, რომელმაც ეს პარტია მშრალი ანგარიშით — 15:0 მოიგო.

ისევე, როგორც ქალთა შეხვედრაში, ვაჟებს შორის გამარჯვებული მხოლოდ მეხუთე პარტიაში გამოვლინდა იმ განსხვავებით, რომ მოწინააღმდეგეებმა რიგრიგობით მოიგეს ერთმანეთისაგან პარტიები, გადამწყვეტი პარტია პირველად ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენთა წარმატებით დაიწყო. მათ წაიყვანეს ანგარიში 7:1. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა ძალების მაქსიმალური დაძაბვით გაათანაბრა ანგარიში და შემდეგ წინ წავიდა — 11:7. შემდეგ ანგარიში ისევ გათანაბრდა (11:11), მაგრამ ეს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის უკანასკნელი წარმატება იყო. შეწყობილად მოთამაშე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 3:2.

ლ. თუშიშვილი

პირველ ადგილზეა „მონკავშირის“ გუნდი

მრგვალ სტენდზე სროლით დამთავრდა თბილისის პირად-გუნდური პირველობა სასტენდო სროლაში. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა საქართველოს მონადირეთა კავშირის კოლექტივმა, რომელმაც მოაგროვა 434 ქულა 500 შესაძლებლიდან, მეორე ადგილი წილად ხვდა ამიერკავკასიის სამონადირეო საზოგადოების კოლექტივს.

პირად პირველობაზე ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ბ. ანტონოვმა დააზიანა 97 სამიზნე 100 შესაძლებლიდან, მას მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებოდა მისივე თანაგუნდელი სპორტის ოსტატი პ. სარქისოვი, ზ. მაჩხანელი 91 დაზიანებული სამიზნით მესამე ადგილზე იმყოფებოდა, რომელსაც კვალდაკვალ მიყვებოდნენ ი. საგანელიძე და ახალგაზრდა პირველთანრიგოსანი კ. კლდიაშვილი.

საერთო გუნდური პირველობა სროლის ორივე სახის კომპლექსში (სროლა ადგილიდან და მრგვალ სტენდზე) მოიპოვა საქართველოს მონადირეთა კავშირის გუნდმა სპორტის ოსტატების ვ. ჯაბახიძის, ი. საგანელიძის, ზ. მაჩხანელის, შ. ჩახნაშვილის, დ. ცაგარეიშვილისა და ე. ძიძიგურის შემადგენლობით, რომლებმაც დააზიანეს 1.151 სამიზნე 1.500 შესაძლებლიდან და შეინარჩუნეს გარდამავალი ჯილდო — თასი.

მეორე ადგილზე გამოვიდა ამიერკავკასიის სამონადირეო საზოგადოების ნაკრები.

პირველობის უკანასკნელ დღეს უნდა გამორკვეულიყო, ვინ იქნებოდა თბილისის ჩემპიონი მრგვალ სტენდზე სროლაში. პირველ სერიაში ბ. ანტონოვმა და პ. სარქისოვმა დააზიანეს სამიზნეების ერთნაირი რაოდენობა—24, ზ. მაჩხანელმა — 22, ი. საგანელიძემ 23 და კ. კლდიაშვილმა — 24. დადგა უკანასკნელი სერია. ბ. ანტონოვმა და პ. სარქისოვმა დააზიანეს კვლავ 24-24 სამიზნე. ბ. ანტონოვმა მოაგროვა რა 145 ქულა 150 შესაძლებლიდან, მოიპოვა თბილისის ჩემპიონის წოდება მრგვალ სტენდზე სროლაში, მეორე ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი პ. სარქისოვი, რომელიც ჩემპიონს მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილის გამოსარკვევად დაინიშნა დამატებითი სერია ზ. მაჩხანელს, კ. კლდიაშვილსა და მ. კუროჩკინს შორის. გაიმარჯვა ზ. მაჩხანელმა.

ჯ. ბოწოლელიძე,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.



ტურისტები რიწის ტბაზე. ფოტო ვ. სემიონოვისა.

ჩაინლონგი

მიუხედავად იმისა, რომ შორეულ სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე ბირმასა და კამბოჯას სპორტსმენებს ჯერ არ მოუპოვებიათ საერთაშორისო სარბიელზე განსაკუთრებული სპორტული წარმატებები, ეს ქვეყნები სპორტული თვალსაზრისით მაინც მეტად საინტერესონი არიან. ამ ქვეყნებში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა და მათ ურიცხვი გულშემატკივარიცა ჰყავთ.

ბირმაში დღემდე განსაკუთრებით ვითარდებოდა სპორტის ეროვნული სახეობანი. ასე, მაგალითად. აქ დღესაც ტარდება შეჯიბრებები ნიჩბოსნობაში სხვადასხვა სახის ნავებზე, როგორც ნიჩბების, ისე ფეხების მოძრაობის გამოყენებით, ასევე შეჯიბრებები ხარებშებმული ურმების ტარებაში, სხვადასხვა ორიგინალური ორთაბრძოლები ეროვნული ჭიდაობა, კრივი და სხვა. აღსანიშნავია, რომ აქ კრივში მონაწილე სპორტსმენებს ხელთათმანი არ უკეთიათ და ბრძოლის დროს ისევე იყენებენ მხრებს, ფეხებს და თავს, როგორც ხელებს.

ყველაზე მეტად ბირმელებს უყვართ თავიანთი „ჩაინლონგი“. ასე ჰქვია ბირმაში მეტად გავრცელებულ და პოპულარულ თამაშს ლერწმის ბურთით. ბურთი, რომელიც ამ თამაშში გამოიყენება, დაწნულია ლერწმისაგან, — ამისთვის 250 [illegible] უყრია 12,5 სმ. ჩაინლონგს თამაშობს ორი გუნდი; თითოეულის შემადგენლობაში შედის 4-6 კაცი. მოთამაშეთა მიზანია მსუბუქი დარტყმით მუხლის, ფეხის ან თავის საშუალებით ბურთი შეინარჩუნონ ჰაერში. ერთი შეხედვით ეს თამაში თითქოს მეტად მარტივია, მაგრამ სინამდვილეში მოთამაშისაგან მოითხოვს დიდ დაკვირვებულობას, მოხერხებულობასა და მოქნილობას. შემთხვევითი არაა, რომ ჩაინლონგის მოთამაშეები კარგი ფეხბურთელები არიან. მოთამაშეთა მიზანი მარტოოდენ ის როდია, რომ ბურთი რაც შეიძლება დიდხანს იყოს ჰაერში; აქ ფასდება მათი ლამაზი, მოხერხებული, ჰარმონიული მოძრაობებიც და ტექნიკურ საშუალებათა ნაირსახოვანი გამოყენებაც. სპორტის ეს სახეობა ხელს უწყობს მოთამაშის ყოველმხრივ განვითარებას.

ბირმელთა ერთ-ერთ პოპულარულ სპორტულ სახეობას შეადგენს ავრეთვე „აპროპოსი“ — ცურვა. ბირმელები თაობიდან თაობას გადასცემენ ლეიტენანტ ნაუნგოფის სახელს, რომელმაც წყალუხვი და მძლავრი მდინარე ირავადი, რომლის სიგრძე 2.150 კმ-ია, 40-ჯერ გადაცურა.

დღევანდელ ეტაპზე ბირმაში შეიმჩნევა საერთაშორისო სპორტული სახეობების ფესვგადგმა და განვითარება. მათ შორის უნდა აღინიშნოს ფეხბურთი, კალათბურთი, ჰოკეი, ჩოგბურთი და სხვ.

გ. ჟავთარია

ᲘᲣᲒᲘᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

ლონდონის ერთ-ერთმა საველოსიპედო კლუბმა, რომლის წევრებად არიან მოსამსახურეები, მწარმოებლები და მოვაჭრეები, ამას წინათ მდიდრული სადილი გამართა ვინმე ჯორჯ ჰერბერტ სტანსერის პატივსაცემად.

საქმე იმაშია, რომ სტენსერს შეუსრულდა 80 წელი და დღემდე არ ანებებს თავს ველოსპორტს. იგი მანქანით ყოველდღიურად გადის 110 კილომეტრს.

✦

ᲨᲘᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

დასავლეთ გერმანიის სამხედრო სამინისტრომ ამას წინათ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ბუნდესვერის ჯარისკაცებს კატეგორიულად ეკრძალებათ მონაწილეობა მიიღონ იმ შეჯიბრებებში, რომლებიც ეწყობა „აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნების“ ტერიტორიაზე.

როგორც ამ ბრძანებაშია აღნიშნული, ასეთ შეჯიბრებაში მონაწილეობა „წარმოაღგენს ბუნდესვერის წევრების მორალურ საფუძველთა შერყევის ცდას„.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ

ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲤᲣᲚᲘ

ავსტრალიის სპორტის ხელმძღვანელები ენერგიულ პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებს ათასგვარი მაქინაციებით გადაჰყავთ ამ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები. მათი გადაბირება ხდება დიდი სტიპენდიებისა და სხვა მატერიალურ დაპირებათა გზით.

ავსტრალიის სამყოვარულო სპორტულმა კავშირმა წერილით მიმართა ამერიკის სპორტული კავშირის მდივანს ჯ. ფერისს, რომ მან მიიღოს ზომები ამგვარ გადაბირებათა საწინააღმდეგოდ.

მაგრამ ეს თხოვნა ამაო გამოდგა. ამას წინათ კიდევ 3 ავსტრალიელი სპორტსმენი — მაკ-კონი, ლავრენსი და კლაუსი გაემგზავრნენ ამერიკის უნივერსიტეტებში.

ᲖᲐᲢᲝᲞᲔᲙᲖᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ

მსოფლიო რეკორდი 1 საათიან რბენაში ეკუთვნის ე. ზატოპეკს — 12 მილი და 809 იარდი (20,052 კილომეტრი). მაგრამ ისტორიის ფურცლებს შემონახული აქვს ცნობა ვალიელი (უელსი) მორბენლის გრიფიტ მორგანის შესახებ, რომელიც 1700 წელს ყოფილა დაბადებული და რომელსაც 12 მილი (19,31 კილომეტრი) დაუფარავს 53 წუთში. ამ მორბენალს სხვაგვარად — გუტო ნიტბრენს უწოდებდნენ იმ ფერმის სახელწოდების მიხედვით, სადაც იგი მუშაობდა. გ. ნოტბრენი არ იყო პროფესიონალი მძლეოსანი და სახელი გაითქვა მხოლოდ თავის შრომითს საქმიანობასთან დაკავშირებული შემთხვევებით. აი ორიოდე მათგანიც: ერთ დღეს იგი აქლოშინებული მივიდა სახლში და დაგვიანება იმით განმარტა, რომ ეს-ესაა მოლალა ღია რუხი ფერის ცხვარი. მამამისი დაეჭვდა, ვინაიდან ასეთი ფერის ცხვარი არ გაეგონა. შემოწმებისას გამოირკვა, რომ გუტოს კურდღელთან გაემართა ჭარითი და ის შეერეკა თურმე ფარეხში. მეორეჯერ დედამ გუტო საქმეზე გააგზავნა მეზობელ ქალაქში, რომელიც 3 მილზე იყო დაშორებული სოფლიდან. დიასახლისმა წესიერად შინ მიბრუნებაც ვერ მოასწრო ბინაზე, რომ გუტო ისევ ცხვირწინ აეტუზა. მან იმდენად სწრაფად შეასრულა დავალება, რომ დედამისი დაეჭვდა — იყო თუ არა მისი შვილი ქალაქში.

როგორღაც გუტოს გამოწვევა გაუგზავნა ინგლისელმა პროფესიონალმა პრინსმა — ერბინათ 12 მილზე. მან მიიღო იგი. მისი „შეკრებაზე ყოფნა“ საკმაოდ უცნაურ ფორმებში წარიმართა: გუტოს სამი დღის განმავლობაში ნაკელზე ეძინა, რომლის სათბომ მის კუნთებს მეტი ელასტიკურობა შემატა. უცნაური იყო გუტოს საქციელი თვით შეჯიბრების დროსაც. როცა პრინსი წინ იყო წასული, ის უდარდელად ელაზღანდარებოდა გზად შემხვედრ ნაცნობებს და მხოლოდ ფინიშთან ისურვა მეტოქის დაწევა. მანძილი ნიტბრენმა დაფარა საოცარ დროში — 53 წუთში.

გახარებული გუტო საკოცნელად მივიდა მეგობარ გოგონა — ჯეინთან. აღტაცებულმა გოგონამ ძლიერად დაჰკრა მას ზურგში ხელი. ასეთი დარტყმა რბენის შემდეგ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა გახურებული სხეულისათვის, რომ გუტო იქვე დაეცა უსულოდ.

გუტოს საფლავის ქვაზე ასეთი წარწერაა: „გრიფიტ მორგანის სახსოვრად... რომელიც 1737 წელს გარდაიცვალა 37 წლის ასაკში. ის იყო დიდი ჭორბენალი, რომელმაც 12 ივნისს დაამარცხა მორბენალი პრინსი 12 მილზე რბენაში, რომელიც მან დაამთავრა ერთი საათის გასვლამდე 7 წუთით ადრე“.

✦

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡᲗᲐᲜ“, „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲗᲐᲜ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲗᲐᲜ

✦

დასაწყისი 17 ს.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი, თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები რედაქტორის 3-89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05604